

„აჭარის განათლების ფონდი“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით გათავაზობთ უცხო ენებისა და კომპიუტერის შემსწავლელ უფასო კურსებს ბათუმსა და აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში.

### კურსებზე ჩარიცხვის წინა პირობა:

პროგრამებზე მსმენელად მიიღება საქართველოს მოქალაქე, რომლის მინიმალური ასაკია 18 წ.

რეგისტრაციისთვის მიმართეთ ბათუმის ოფისს ან შესაბამისი მუნიციპალიტეტის რესურს-ცენტს;  
წარმოადგინეთ პირადობის/პასპორტის ასლი

### უცხო ენები

- ინგლისური
- გერმანული
- ფრანგული
- რუსული
- თურქული

სწავლების ოთხი საფეხური:

დამწყები - A1 (3 თვე)

*კურსის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია მარტივი ინტერაქცია ადამიანთან, რომელიც მეტყველებს ნელა და გარკვევით*

### **ელემენტარული -A2 (3 თვე)**

*კურსის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია საკუთარი გარემოს მარტივი ასპექტებისა და მარტივი საჭიროებების გადმოცემა*

### **საშუალო 1 -B1 (6 თვე)**

*კურსის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია მცირე ზომის ტექსტების პროდუცირება და ძირითადი საკომუნიკაციო სიტუაციების დაძლევა სამიზნე ენის გარემოში მოგზაურობისას*

### **საშუალო 2 –B2 (6 თვე)**

*კურსის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია ენის მატარებელთან სპონტანური, დაუგეგმავი ინტერაქცია ენის შეუფერხებელი ფლობის გარკვეული ხარისხით.*

*მსმენელი ხდება ენის დამოუკიდებელი მომხმარებელი*

**B1და B2 საფეხურების დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატები**

### **საინფორმაციო ტექნოლოგიები - კომპიუტერი**

**სწავლის ხანგრძლივობა - 4 თვე**

**შეისწავლება საოფისე პროგრამები: Microsoft Word; Excel; MS PowerPoint  
ინტერნეტი; ელ-ფოსტა**

**კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი**

## TOEFL-ის გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსი

სწავლის ხანგრძლივობა - 4 თვე

ჩარიცხვის წინაპირობა: მსმენელები გაივლიან წინასწარ შესარჩევ ტესტს და გასაუბრებას. ასაკობრივი შეზღუდვა არ არის.